PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს - „ცხუმ-ეგრისში“„საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **ქეთევან ბოტკოველი**
წევრი: **გიორგი ბერია**

(თბილისი, 2021)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს „ცხუმ-ეგრისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 2 აპრილის MES 2 21 0000316905 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი, წევრი: გიორგი ბერია) დაევალა, შპს - „ცხუმ-ეგრისში“, „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ბრძანების საფუძველი გახლდათ შპს - „ცხუმ-ეგრისის“ მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 22 მარტს წარმოდგენილი განაცხადი „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი მხრიდან სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურად ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 21 აპრილს, 13.00 საათზე განხორციელდა ჩართვა. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ მოდულების განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და განიხილეს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან და საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამის პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები და განხორციელდა მათთან გასაუბრება ონლაინ რეჟიმში.

დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული წარმოდგენილ დასკვნაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტი დაწესებულების მიერ შეფასებულ იქნა როგორც სრული შესაბამისი, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია:

2.2.1.1. რეკომენდირებულია B გარემოში დარჩეს მხოლოდ 14 კომპიუტერი, რამდენადაც 22 კვ.მ ფართი მეტის შესაძლებლობას არ იძლევა

2.2.1.1. პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში გათვალისწინებულ იქნას დაწესებულების პროფილი და არსებული სერვისები.

2.2.1.1. შეიცვალოს ხელშეკრულებები კლინიკური მოდულების განმახორციელებლებთან (პარტნიორ ორგანიზაციასთან სს "ევექსის ჰოსპიტლები") და ხელშეკრულებაში დარჩეს მხოლოდ ის მოდულები, რომელთა განხორციელებაც შეიძლება ამ ჰოსპიტალში.

2.2.1.1. გაფორმდეს ხელშეკრულება სენაკის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრის პოტენციურ მასწავლებლებთან 2 კლინიკური მოდულის „კლინიკური პრაქტიკა -ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია" (3 კრედიტი) და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია (3 კრედიტი) განხორციელებასთან დაკავშირებით.

ყველა ზემოხსენებულ შესაბამისობის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა ერთთვიანი განვითარების გეგმა, რომელიც კოლეჯის მიერ დასკვნის პროექტთან დაკავშირებულ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოეგზავნათ ექსპერტებს. *წარმოდგენილ განვითარების გეგმაში* გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაციები მეორე სტანდარტის მეორე ქვესტანდარტის პირველ კომპონენტთან 2.2.1.1. მიმართებაში და დაგეგმილია განსახორციელებელი აქტივობები, კერძოდ:

1. კოლეჯი ცვლილებას განახორციელებს პროგრამაში, კერძოდ სასწავლო გეგმაში და კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელებას დაგეგმავს 4 ჯგუფზე (14 სტუდენტი ოთხ ჯგუფად) 4 სასწავლო გეგმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. გააფორმებს ხელშეკრულებას სენაკის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრის პოტენციურ მასწავლებლებთან 2 კლინიკური მოდულის „კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ (3 კრედიტი) და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია (3 კრედიტი) განხორციელებასთან დაკავშირებით.
3. B გარემოში არსებული ფართის გათვალისწინებით (22 კვ.მ) დატოვებს მხოლოდ 14 კომპიუტერს,
4. უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ - მოდულების განმახორციელებლების შერჩევას განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით.
5. გააფორმებს ხელშეკრულებას სენაკის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრის პოტენციურ მასწავლებლებთან 2 კლინიკური მოდულის „კლინიკური პრაქტიკა -ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ (3 კრედიტი) და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია (3 კრედიტი) განხორციელებასთან დაკავშირებით.
6. დამატებით განახორციელებს ტრენინგების ციკლს მოდულის განმახორციელებელი პირებისათვის სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ.

განვითარების გეგმით განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები, დაწყება/დასრულების სავარაუდო თარიღები (25 მაისი -25 ივნისი), განმახორციელებელი პირი (მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი) და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ხარისხის მართვის მენეჯერი), სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი), მითითებულია ასევე განხორციელებაში ჩართული პირები.

წარმოდგენილი განვითარების გეგმის შესრულების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (14 პროფესიული სტუდენტის) გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს ცხუმ-ეგრისის დორექტორის ბრძანება №01-03 / 22.02.2021 წ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. №32
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	14
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
3. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
6. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
7. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
8. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
9. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

შპს - „ცხუმ-ეგრისის“ მიერ წარმოდგენილი დასაბუთება „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან, რომლის თანახმად კოლეჯი, როგორც მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულება, გეგმავს მიაწოდოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტები და სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. გადაწყვეტილება ეფუძნება ასევე კოლეჯის 2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომლის ერთერთ მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება სხვა მოთხოვნად სწავლის სფეროებში, და რაც ასახულია ასევე 2021 წლის სამოქმედო გეგმაშიც.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებაში საუბარია საექთნო განათლების აქტუალობაზე როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის მასშტაბით და მაგალითად მოყვანილია რიგი კვლევებისა, როგორებიცაა: სოლიდარობის ქსელის მიერ ჩატარებული კვლევა „ექთნების შრომის პირობები საქართველოში“ (2019); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროფესიათა რეიტინგის კვლევა, სადაც საექთნო საქმის პროფესიონალები მზარდი პროფესიების ჩამონათვალშია მითითებული და სხვა. დასაბუთებაში საუბარია ასევე სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია /მშენებლობების მზარდ ტენდენციაზე და რეგიონში ახალი კლინიკების დაფუძნებაზე (რუხის მრავალპროფილური სამედიცინო კლინიკა და სამედიცინო ცენტრი „ნლი“), რამაც გაზარდა კვალიფიციურ ექთნებზე მოთხოვნა რეგიონის მასშტაბით. როგორც წარმოდგენილი დასაბუთებიდან ვგებულობთ, საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა - დამატებაში დიდი როლი შეასრულა 10 წლიანმა გამოცდილებამ „საექთნო საქმის“ წინამორბედი პროგრამის განხორციელების საქმეში და ასევე დამსაქმებელთა ჩართულობამ და დაინტერესებამ კოლეჯის კურსდამთვრებულების დასაქმების კუთხით. კოლეჯმა წარმოადგინა რეფერალური ჰოსპიტალის „ევექსის ჰოსპიტლები“ დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მომართვა კოლეჯს, ურთიერთთანამშრომლობის შესახებ პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა პოტენციური დასაქმების თაობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლეჯის მიერ გაანალიზდა დასაქმების საიტებზე ექთნის ვაკანსიების გაზრდილი რაოდენობა და ასევე კოლეჯში საექთნო განათლების მიღების მსურველთა მომართვიანობის მაღალი მაჩვენებელი.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, შესაბამისად განსაზღვრულია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურები დადგენილია შპს ცხუმ-ეგრისის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია კოლეჯი შპს - „ცხუმ-ეგრისის“ დირექტორის მერ 2020 წლის 16 ივლისის N 01-11 ბრძანებით. შესულია ცვლილებები შპს - „ცხუმ-ეგრისის“ დირექტორის მერ 2021 წლის 23 თებერვლის N -01-04 ბრძანებით, რომლის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

შპს - „ცხუმ-ეგრისის“ დირექტორის მიერ 2020 წლის 16 ივლისის N 01-11 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს, ავტორიზაციის სტანდარტებს და კოლეჯის შიდა სამართლებლივ აქტებს. მეთოდოლოგიის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:
ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ბ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით მხედველობაში მიიღება ასევე პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი პრაქტიკული კომპონენტიც. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია ის შემთხვევაც, როდესაც ერთიდაიგივე გარემო რამდენიმე პროგრამისათვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი ნაწილდება ყველა პროგრამაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „საექთნო საქმე“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, რომლის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის კონტიგენტის ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 14 პროფესიული სტუდენტით ერთ ცვლაში და 28 სტუდენტით ორ ცვლაში. იმის გათვალისწინებით, რომ სწავლების მესამე წელს პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური სწავლების მოდულები განხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციაში, კოლეჯი გეგმავს დამატებით მიიღოს ასევე 14 სტუდენტი, ჯამში: 42 სტუდენტი პროგრამის დასრულებამდე. დასაბუთებაში გათვალისწინებულია ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა - 32 პროფესიული განათლების მასწავლებელი (ერთ მოდულზე ორი მასწავლებელი) და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯში მოწყობილი A/B გარემო. გათვალისწინებულია ასევე „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური სწავლების პროფესიული მოდულების განხორცილების ადგილები, კერძოდ კოლეჯს დადებული აქვს ხელშეკრულება სს “ევექსის ჰოსპიტლები“ - ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალთან და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრთან „შპს ნლი“ და სენაკში არსებულ - ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან. პარტნიორ ორგანიზასციასთან სს “ევექსის ჰოსპიტლები“- ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური სწავლების პროფესიული მოდულები განხორცილდება ჰოსპიტალში და ერთდროულად მიიღებს ერთ ცვლაში 14 სტუდენტს, ხოლო 2 ცვლაში -28 სტუდენტს.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტების მიერ გადამოწმდა მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი და დადგინდა მათი შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

„საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის ბრძანებით №01-03, 22.02.2021 (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი). დირექტორის უფლებამოსილება განსაზღვრულია კოლეჯის დებულებით, მუხლი №7 (დამტკიცებულია შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის მიერ 2020 წლის 15 ივლისის № 01-10 ბრძანებით. შესულია ცვლილებები შპს - „ცხუმ-ეგრისის“ დირექტორის მიერ 2021 წლის 1 თებერვლის N 01-01 ბრძანებით).

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროგრამის დასახელება ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი საექთნო საქმე / Nursing. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (180 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 210 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), პროგრამის ხანგრძლივობა, დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, მოდულები და სასწავლო გეგმა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს - „ცხუმ-ეგრისის“ მისია, ხედვა, ღირებულებები;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- შპს - „ცხუმ-ეგრისის“ ხარისხის მართვის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი;
- შპს - „ცხუმ-ეგრისის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დირექტორის ბრძანება „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- „საექთნო საქმე“ - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მისაღები პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამით გათვალისწინებული რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 16 ივლისს N 01 -011 ბრძანებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ „საექთნო განათლების“ პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A და B გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

A გარემო - 23.2 კვ.მ. -14 პროფესიული სტუდენტისათვის (აუდიტორია A-№10). აუდიტორიაში განთავსებულია: პროფესიული სტუდენტის მაგიდა/სკამი - 14, პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი, პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი, პროექტორი /ეკრანი, დაფა /ფლიფჩართი. აუდიტორიაში განთავსებულია ასევე მულაჟები და თვალსაჩონოებები. ამავე აუდიტორიაში იგეგმება „ფარმაცია (საექთნო)" პროგრამით განსაზღვრული -„პირველადი გადაუდებელი დახმარების" - მოდულის განხორციელებაც (რამდენადაც ამ აუდიტორიაშია განთავსებულია მოდულის განსახორციელებლად საჭირო ყველა მატერიალური რესურსი).

<u>დაწესებულება გეგმავს A გარემოში, ერთ ცვლაში 14, ხოლო ორ ცვლაში 28 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას</u>

B გარემო - 22.5 კვ.მ. -20 პროფესიული სტუდენტისათვის (აუდიტორია A-N7). აუდიტორიაში განთავსებულია: პროფესიული სტუდენტის მაგიდა/სკამი - 20, პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი, პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი, პროექტორი /ეკრანი, დაფა /ფლიფჩართი, 1 პრინტერი. <u>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების მოსაზრებით 22 კვ.მ. აუდიტორიაში 20 კომპიუტერის განთავსება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, რაც ასევე დადასტურდა დისტანციური დათვალიერების დროს. მაგიდებს შორის დისტანცია თითქმის არ არის დაცული.</u>

ამ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა მიერ განხილულ იქნა, საზოგადოებრივ კოლეჯ „ცხუმ-ეგრისის" მიერ დასკვნის პროექტზე (ცენტრში რეგისტრაციის №458918 18/05/2021) წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რომლის თანახმად (ამონარიდი არგუმენტირებული პოზიციიდან), კოლეჯი გაითვალისწინებს ამ რეკომენდაციას და B გარემოში (აუდიტ. N 7) დატოვებს მხოლოდ 14 კომპიუტერს.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯს მემორანდუმი აქვს გაფორმებული სამედიცინო ცენტრ „ნლი"-სთან, ხოლო ხელშეკრულება გაფორმებული აქვს <u>პარტნიორ ორგანიზაციასთან სს "ევექსის ჰოსპიტლები". 2021 წლის 19 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად,</u> სამედიცინო დაწესებულებას შეუძლია ერთდროულად მიიღოს 14 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში, ხოლო 28 პროფესიული სტუდენტი - ორ ცვლაში. განსაზღვრულია ასევე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - არა უმეტეს 7 პროფესიული სტუდენტისა ერთ პრაქტიკის ხელმძღვანელთან.

<u>**ონლაინ** ჩართვის დროს ჰოსპიტალის ხელმძღვანელმა განგვიმარტა, რომ დაწესებულება აღჭურვილია ყველა შესაძლო რესურსით და დაგვიდასტურა პროფესიულ სტუდენტებთან მუშაობის მზაობა, უფრო მეტიც ისაუბრა კადრების ნაკლებობაზე ამ სფეროში და კოლეჯის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ფუნქციონირების მნიშვნელობაზე ამ კუთხით. ონლაინ გასაუბრება განხორციელდა ასევე ჰოსპიტალის იმ თანამშრომლებთან, რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პრაქტიკული და კლინიკური მოდულების ჰოსპიტალში განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ პირების კვალიფიკაცია სრულად აკმაყოფილებს მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. ისინი ფლობენ ინგლისურ ენას და აქვთ სწავლების გამოცდილება, რამდენადაც არიან ჰოსპიტალის სატრენინგო ცენტრის წარმომადგენლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს იმ კლინიკური მოდულების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებაზეც ჰოსპიტალი იღებს ვალდებულებას, თუმცა პირველად დოკუმენტებში წარმოდგენილ ხელშეკრულებაში, არის მოდულები „კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ (3 კრედიტი) და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია (3 კრედიტი), რომელსაც აღნიშნული დაწესებულება ვერ განახორციელებს, რამდენადაც ასეთი სერვისი არ აქვს. დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტებში კოლეჯმა წარმოადგინა რეფერალურ საავადმყოფოსთან დადებული ახალი ხელშეკრულება, რომელშიც ეს მოდულები აღარ ფიგურირებს, თუმცა ჩანაწერები დარჩა პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან. ხელშეკრულებას დანართის სახით დაემატა ასევე მოდულის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა, რაც წინა ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული.

დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტებში, კოლეჯმა წამოადგინა ასევე ახალი ხელშეკრულება, რომელიც მათ გააფორმეს სენაკში არსებულ - ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან. ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორთან განხორციელდა ონლაინ გასაუბრება, ცენტრის ხელმძღვანელმა დაგვიდასტურა მზაობა პროფესიული სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით, და ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ ისინი ერთდროულად მიიღებენ მხოლოდ 2 პროფესიულ სტუდენტს ერთ ცვლაში, ხოლო შესაბამისად 4 სტუდენტს 2 ცვლაში. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის: „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - საექთნო საქმე მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“ კოლეჯის სურვილია ჯამურად მიიღოს მაქსიმუმ 42 პროფესიული სტუდენტი პროგრამის დასრულებამდე. აღნიშნულზე დაყრდნობით პრობლემას წარმოადგენს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის გამტარუნარიანობის შესაძლებლობა, რომელიც მაქსიმუმ ორ ცვლაში 4 სტუდენტით შემოიფარგლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯს მიეცა შემდეგი რეკომენდაციები:

- B გარემოში დატოვოს მხოლოდ 14 კომპიუტერი, რამდენადაც 22 კვ.მ ფართი მეტის შესაძლებლობას არ იძლევა
- ხელშეკრულების გაფორმების პროცესში გაითვალისწინოს დაწესებულების პროფილი და არსებული სერვისები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შეცვალოს ხელშეკრულებები კლინიკური მოდულების განმახორციელებლებთან (პარტნიორ ორგანიზასციასთან სს "ევექსის ჰოსპიტლები") და ხელშეკრულებაში დატოვოს მხოლოდ ის მოდულები, რომელთა განხორციელებაც შეიძლება ამ ჰოსპიტალში.
- გააფორმოს ხელშეკრულება სენაკის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრის პოტენციურ მასწავლებლებთან 2 კლინიკური მოდულის „კლინიკური პრაქტიკა -ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია" (3 კრედიტი) და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია (3 კრედიტი) განხორციელებასთან დაკავშირებით.

ექსპერტები გავეცანით ერთთვიან განვითარების გეგმას, რომელიც კოლეჯის მიერ დასკვნის პროექტთან დაკავშირებულ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოეგზავნათ ექსპერტებს. *წარმოდგენილი განვითარების გეგმაში* გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაციები მეორე სტანდარტის მეორე ქვესტანდარტის პირველ კომპონენტთან 2.2.1.1. მიმართებაში და დაგეგმილია განსახორციელებელი აქტივობები, კერძოდ:

1. კოლეჯი ცვლილებას განახორციელებს პროგრამაში, კერძოდ სასწავლო გეგმაში და კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელებას დაგეგმავს 4 ჯგუფზე (14 სტუდენტი ოთხ ჯგუფად) 4 სასწაელო გეგმით.
2. გააფორმებს ხელშეკრულებას სენაკის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრის პოტენციურ მასწავლებლებთან 2 კლინიკური მოდულის „კლინიკური პრაქტიკა -ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია" (3 კრედიტი) და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია (3 კრედიტი) განხორციელებასთან დაკავშირებით.

განვითარების გეგმით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, დაწყება/დასრულების სავარაუდო თარიღები (25 მაისი -25 ივნისი), განმახორციელებელი პირი (მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი) და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ხარისხის მართვის მენეჯერი,სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი), მითითებულია ასევე განხორციელებაში ჩართული პირები.

წარმოდგენილი განვითარების გეგმის შესრულების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (14 პროფესიული სტუდენტის) გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის

შპს - „ცხუმ-ეგრისის“ მიერ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 22 მარტს შევიდა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. განაცხადს ახლავს დანართი №3 - ფორმა „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ. წარმოდგენილი დანართით, დაფიქსირებულია 32 პროფესიული განათლების მასწავლებელ, თუმცა კოლეჯის მიერ საავტორიზაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო გადმოგზავნილი მათი პირადი საქმეები და ხელშეკრულებები, რაც ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა. ონლაინ ჩართვამდე დაწესებულებამ გადმოაგზავნა ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რომელშიც შეცვლილი იყო პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩამონათვალი და ნაცვლად 32 ისა გადმოგვეგზავნა 16 პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩამონათვალი და დირექტორის შესაბამისი ბრძანება. ახალი სიის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამას „საექთნო საქმე“ განახორციელებს მხოლოდ 16 პროფესიული განთლების მასწავლებელი. სიას დამატებული აქვს მასწავლებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები, აქვე უნდა აღინიშნოს, გადმოგზავნილი დოკუმენტაციის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 2021 წლის 22 თებერვლის №01-03 ბრძანებით, თუმცა დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში ბრძანება სხვა თარიღით არის (ბრძ. №03-04, 18.02.2021) რომელიც ეხება პროფესიული გაანთლების მასწავლებლების დანიშვნას დანართი №1 -ს შესაბამისად (16 პროფესიული განათლების მასწავლებელი). აქვე გავმარტავთ, რომ განაცხადი პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით ცენტრში წარმოდგენილია 22 მარტს და მასში შესაბამისად ამ ბრძანებით დამტკიცებული ნუსხა უნდა ყოფილიყო, ნაცვლად 32 -ისა.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოება: ყველა მოდულზე მხოლოდ ერთი განმახორციელებელია მითითებული.

პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე მათგანთან გაფორმებულია ასევე შემცვლელი მასწავლებლის ხელშეკრულება საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განსახორციელებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

„საქთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს:

ზოგიერთ პროფესიული განათლების მასწავლებელს არ არქვს პრაქტიკული გამოცდილება იმ დარგში, რომელი მოდულის თეორიული კურსსაც ახორციელებს („პედიატრია და მოზარდები“, „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“, „გადაუდებელიპაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“, ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“), რაც თავის მხრივ დიდ გავლენას მოახდენს აღნიშნული მოდულის სწავლების ხარისხზე. მაგ:

- მოდულების: „**საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში“; „კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო საქმის საფუძვლები და ანესთეზია“; ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“** - განმახორციელებლის ნ.პ.-ს სამუშაო გამოცდილება ვერ დასტურდება (წამოდგენლია მხოლოდ სამედიცინო დის დიპლომი).
  აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია რომ მედდა - პროფესიული მოდულის განმახორციელებელს ჰქონდეს პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის დარგში. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მოდული - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები, რომელიც მოიცავს როგორც ქირურგიული პაციენტის პრე და პოსტოპერაციულ მოვლის საკითხებს, ასევე თავად ქირურგიული პროცედურის დროს ქირურგის ასისტირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. შესაბამისად საოპერაციო მოწყობილობების, სპეციფიკების და შესაბამისი რისკების შესახებ ინფორმაციას ფლობს პრაქტიკული გამოცდილების მქონე ექთანი. ამდენად ამ მოდულის განმახორციელებელი სასურველია იყოს პრაქტიკული გამოცდილების მქონე ექთანი.
  იგივე ითქმის კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვისა და ანესთეზიის მოდულზეც.
- მოდულების: „**პედიატრია და მოზარდები“ და „ანატომია-ფიზიოლოგია“** - განმახორციელებელს ი.მ.-ს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, არ აქვს პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება არა თუ პედიატრიულ მიმართულებაში, არამედ არც მედდად მუშაობის გამოცდილება და შემოიფარგლება მხოლოდ მასწავლებლის პრაქტიკით.
- მოდულების: „**გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“; „თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“, „პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)“** - განმახორციელებლის მ. რ.-ს შემთხვევას რაც შეეხება, მასთან მიმართებაში ვრცელდება იგივე პრობლემა, რაც ზემოთ აღინიშნა, რადგან იგი არის ოჯახის ექიმი და ენდოკრინოლოგი, ასევე მუშაობდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თერაპევტად 1986-1984 წწ ზუგდიდის პირველადი სასწრაფო-გადაუდებელი დახმარების სამედიცინო სადგურში. შესაბამისად მოდულის „გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის სწავლების“ გამოცდილება არ აქვს. უფრო მეტიც, ექსპერტებს მიეცა შესაძლებლობა გასაუბრებოდნენ მ. რ.-ს. გასაუბრებისას დარგის ექსპერტის მიერ დასმულ შეკითხვებს, რომელიც ეხებოდა გადაუდებელი მედიცინის საექთნო მართვის მოდულთან დაკავშირებულ შინაარსობრივ კომპონენტებს, მან ვერ უპასუხა. გამოვლინდა რომ იგი არ იცნობდა აღნიშნული მოდულის თემატიკასაც კი.

- მოდულის „ფსიქიატრიული ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ პოტენციურ განმახორციელებელს ნ.ფ.-ს არ აქვს ფსიქიატრიული მიმართულების მუშაობის გამოცდილება. **ამ საკითხთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ნაწილს უძღვებოდეს შესაბამის მიმართულებაში სამუშაო პრაქტიკის მქონე ექთანი. კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან თანამშრომლობის პირობებში მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი მოცემულ მიმართულებაში სამუშაო გამოცდილებით.**
- მოდულების: **„ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში“ და ასევე „დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში“** განმახორციელებლის ვინაობა მითითებულია გადმოგზავნილ ახალი სიაში (მოგახსენებთ, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ დოკუმენტაციას, დაურთო ახალი მასწავლებლების სია), თუმცა არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ხელშეკრულება. მის საქმეს ახლავს მხოლოდ ხელშეკრულება საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ 2 მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით. გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში ამ მოდულებთან დაკავშირებით ხელშეკრულება დადებულია მასწავლებელთან სტატუსით „შემცვლელი მასწავლებელი“, რომელიც ამ სიაში არ არის მოხსენიებული. ხელშეკრულება დადებულია იმის თაობაზე, რომ ის საჭიროების შემთხვევაში შეცვლის პროფესიული განათლების მასწავლებელს მოდულის **„ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში“** განსახორციელებლად. რაც შეეხება მოდულს **„დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში“** აქაც არ არის ხელშეკრულებით გაფორმებული განმახორციელებელი პირი. არის მხოლოდ სტატუსით „შემცვლელ მასწავლებელთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. შესაბამისად ვერ დგინდება, როგორ იქნება უზრუნველყოფილი ამ მოდულის განხორციელება.

ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ მოდულების: „ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში“ და „დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში“ განმახორციელებელია პროფესიული განათლების მასწავლებელი დ. დ., რომელიც მოხსენიებულია ცენტრთან პირველად გადმოგზავნილ სიაში. მასთან კოლეჯს გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულება. ვიზიტის დაწყებამდე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტებისათვის მიწოდებული იყო დალი დარასელიას კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და გამორჩენილი იყო ტექნიკურად მასთან, როგორც ამ მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება. ასევე მიწოდებული იყო ექსპერტებისთვის ამ მოდულების განმახორციელებელი შემცვლელი მასწავლებლების ჟ. ვ. და ე. გ. პირადი საქმეები შესაბამისი ხელშეკრულებებით. აღსანიშნავია ისიც, რომ განაცხადის N3 დანართის სიაში და დირექტორის ბრძანების დანართში დალი დარასელია მითითებულია, როგორც ამ ორი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი - იხ. დანართი N7 (დალი დარასელიას პირადი საქმე, ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი).

ექსპერტთა განმარტებით, დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო კონკრეტული მასწავლებლის მხოლოდ განათლების დამადასტურებელი დიპლომი და ვერ დასტურდებოდა მისი საქმიანობა მოდულთან მიმართებაში.

დაწესებულებას პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტების განსახორციელებლად დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალთან - სს „ევექსის ჰოსპიტელები“ და ასევე ამ ჰოსპიტალში მომუშავე პერსონალთან- პოტენციურ მასწავლებელთან (სულ 6), მათ შორის 3 პირთან, ხელშეკრულებაში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი და კონკრეტულად 12 კლინიკური მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებული შეთანხმება. ამ მოდულებს შორის არის 2 მოდული: კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია, რომლებსაც აღნიშნული პირები ვერ განახორციელებენ, რამდენადაც ჰოსპიტალს ასეთი სერვისი არ აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტებში შეცვალა პარტნიორი ორგანიზაცია ამ მოდულებთან მიმართებაში და ხელშეკრულება გააფორმა სენაკის ფსიქიტრიული ჯანმრთელობის ცენტრთან, თუმცა ზემოხსენებულ მასწავლებლებთან ხელშეკრულება არ შეუცვლია და მათში კვლავ ფიგურირებს ეს მოდულები. **დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი მასწავლებლების კომპეტენცია, ვერ უზრუნველყოფს ხარისხიან სწავლებას.**

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტები გაეცვნენ კოლეჯის მიერ წარმოდგენილ ერთთვიან განვითარების გეგმას, ზემოხსენებულ საკითხებთან მიმართებაში, რომლის თანახმად კოლეჯი იღებს ვალდებულებას ერთი თვის განმავლობაში უზრუნველყოს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ - მოდულების განმახორციელებლების შერჩევა განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით.

2.დამატებით განახორციელოს ტრენინგების ციკლი მოდულის განმახორციელებელი პირებისათვის სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ.

3. გააფორმოს ხელშეკრულება სენაკის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრის პოტენციურ მასწავლებლებთან 2 კლინიკური მოდულის „კლინიკური პრაქტიკა -ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ (3 კრედიტი) და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია (3 კრედიტი) განხორციელებასთან დაკავშირებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

„საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით და პირადი საქმით. კოლეჯის დებულებით (მუხლი 19. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელები), განსაზღვრულია მისი უფლება-მოვალეობა და ხელშეკრულებასაც ახლავს მისი სამუშაო აღწერილობა, თუმცა მასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მან წარმოადგინა ტრენინგის - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება - მონაწილის დამადასტურებელი სერტიფიკატი, იგი კარგად არ იცნობს პროგრამას და იმ მოდულებს, რომელთა განხორციელებაც განსაზღვრული აქვს ხელშეკრულებით. ამ საკითხთან დაკავშირებით კოლეჯის დირექციას მიეცა შემდეგი რეკომენდაცია - პროგრამის ხელმძღვანელი <u>გაეცნოს მოდულური სწავლების პრინციპებს, უფრო აქტიურად ჩაერთოს პროგრამის შემუშავების საქმეში და ყურადღებით მოეკიდოს პროგრამით გათვალისწინებული კლინიკური მოდულების განმახორციელებლების შერჩევას.</u>

<u>კოლეჯის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის და ერთთვიანი განვითარების გეგმის გათვლისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელს</u> შესაბამისი ტრენინგებით მოდულური სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

დაწესებულებამ ონლაინ ჩართვის დროს ექსპერტებს წარმოგვიდგინა და დაგვათვალიერებინა დაწესებულების ბიბლიოთეკაში განთავსებული „**საექთნო საქმის**“ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ძირითადად ხელმისაწვდომია დაწესებულებაში მატერიალური სახით და გამოყენებულ იქნება სასწავლო პროცესში.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

კოლეჯში ამჟამად სსსმ პირები არ სწავლობენ, თუმცა როგორც კოლეჯის ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, კოლეჯი გამოთქვამს მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ისინი სრული საგანმანათლებლო რესურსით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით და იმოქმედოს შპს - „ცხუმ-ეგრისის“ დებულებითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (15. მუხლი - სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირება). წესის თანახმად კოლეჯი ვალდებულია პროფესიული სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

კოლეჯმა წარმოადგინა „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 8 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასური (მათ შორის სახელმწიფო ვაუჩერით მიღებული შემოსავალიც), ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციულ ხარჯს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების/ნედლეულის, კომუნალურის და სხვა ხარჯებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს - „ცხუმ-ეგრისის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ დამტკიცების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ საგანმანათლებლო რესურსი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის წესი და მისი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაწესებულების ვებგვერდი; .
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ საგანმანათლებლო რესურსი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ბიუჯეტი;
- პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი;
- ონლაინ დათვალიერების შედეგები;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გასაუბრების შედეგები;
- კოლეჯის ხელმძღვანელ პირებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.**

ექსპერტთა მიერ, კოლეჯის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან ერთად შესწავლილ იქნა „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებულია კოლეჯი შპს „ცხუმ-ეგრისის“ დირექტორის მიერ 2020 წლის 16 ივლისის N 01-11 ბრძანებით) და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებულია კოლეჯი შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის მერ 2020 წლის 25 ივლისის N 01-013 ბრძანებით). როგორც ირკვევა - კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის დოკუმენტის თანახმად, მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით; დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა / პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით; მონაცემების დამუშავება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი; გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის მართვის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ; რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა; ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაციაში და აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმებიც, რაც გულიხმობს: სასწავლო პროცესის შეფასებას პროგრამებში არსებული ხარვეზების გამოსავლენად და მათი აღმოფხვრის გზების დასასახად; კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის /პროფესიული განათლების მასწავლებლის და ადმინისტრაციის სრული ჩართულობის ორგანიზებას; საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერის ორგანიზებით: გამოკითხვების ჩატარებას, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებს, პირისპირ ინტერვიუებს ან კითხვარების ფორმებს (კონკრეტული საჭიროებების მიხედვით); სწავლების ხარისხის შეფასებას პროცესზე დაკვირვების მეთოდით. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ნებისმიერი სახის გამოკითხვა /შეფასება /კვლევა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობა, სანდოობა, მოქნილობა, შინაარსობრივი სიმარტივე, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯის მიერ შემუშავებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ №3 მუხლით - საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები, განსაზღვრულია, რომ კოლეჯმა მუდმივად უნდა იზრუნოს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. სასწავლო პროცესის შეფასების მთავარი მიზანი, დოკუმენტის თანახმად, პროგრამებში არსებული ხარვეზების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის გზების დასახვაა. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს გამოკითხვას, რისთვისაც იყენებს პირისპირ ინტერვიუს ან კითხვარების ფორმებს (კითხვარების ფორმები არ მტკიცდება, კითხვარები დგება ყოველი კონკრეტული კვლევის საჭიროებების/ინტერესის შესაბამისად), ასევე შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მუშაობის თუ სწავლების ხარისხის შეფასება პროცესზე დაკვირვების მეთოდით. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახდენს, ასევე განხორციელებული შეფასებების შედეგების ანალიზს/ ან ეცნობა სხვის მიერ შესრულებული კვლევის შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის პირს. მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს რეაგირება და მოხდეს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გუმჯობესების შესაძლებლობას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და რეაგირების შესახებ წლიური ანგარიში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარედგინება კოლეჯის დირექტორს, საჭიროების შემთხვევაში ანგარიშის შედეგების გაცნობა განხორციელდება დაინტერესებულ მხარეებთან.

დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (რომელიც დამტკიცებულია შპს „ცხუმ-ეგრისის“ დირექტორის მიერ 2020 წლის 16 ივლისს №01-011 ბრძანებით), განსაზღვრულია (მუხლი №4) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესები, რომლის თანახმად პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე. წესები შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არსებული მექანიზმებით შესაძლებელია პროგრამის განხორციელების ხარისხის შედეგების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში წესების დაცვით მასში ცვლილებების შეტანა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს - „ცხუმ-ეგრისის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს - „ცხუმ-ეგრისის“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

„საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯის მიერ შემუშავებულია სასწავლო გეგმა. გეგმის თანახმად პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა - 32 სასწავლო თვე (123 სასწავლო კვირა), ხოლო იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა 38 სასწავლო თვეა (145 სასწავლო კვირა). სასწავლო გეგმით დაცულია მოდულების წინაპირობები, საათების კვირეული ზღვრული რაოდენობა, საგამოცდო შუალედი წინსწრები მოდულებისთვის. გეგმით განსაზღვრულია ასევე ყველა მოდულისთვის, როგორც საკონტაქტო საათები, ასევე საათები დამოუკიდებელი მუშაობისთვის და შეფასებისთვის.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ექსპერტები გაეცნენ კოლეჯის დირექტორის მიერ (ბრძანება№01-11 2020, 16 ივლისი) დამტკიცებულ დოკუმენტს- “პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სტრატეგია“, რომლითაც დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა უფლებები და კანონიერი ინტერესები. ამ რეგულაციის თანახმად, კოლეჯი ვალდებულია, ხარისხიანი განათლების მისაღებად, შეუქმნას მათ უსაფრთხო გარემო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უზრუნველყოს ისინი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სერვისებით, იზრუნოს პროფესიული სტუდენტური პროექტების განხორციელებაზე და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე. პროფესიული სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან სწავლების ყველა ეტაპზე. როცა სასწავლო გარემო იცვლება, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალდებულია ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან ან შესთავაზოს შესაბამისი სერვისები/მხარდაჭერა, საჭიროების მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში. ასევე, გონივრულ ვადებში უნდა განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულის განხორციელების შემთხვევაში, სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

„საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება მოდულებში მითითებული სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია სრულყოფილად გადაამზადოს განმახორციელებლები სწავლების თანამედროვე მეთოდების კუთხით.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (მუხლი 9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა) განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა. სხვადასხვა ეტაპზე პროცესში ჩართულია პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაცია, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. საბოლოო ეტაპზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თანხმდება პროფესიულ სტუდენტთან, რაც დასტურდება ხელმოწერით და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი მექანიზმების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანა განმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

„საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს დადებული სს “ევექსის ჰოსპიტლები“ - ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალთან და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრთან „შპს ნლი“. კოლეჯმა წარმოადგინა **ასევე <u>სენაკში არსებულ - ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების დოკუმენტი დამატებით გადმოიგზავნა და 12 აპრილით არის დათარიღებული.</u>** <u>ხელშეკრულებებში</u> დეტალურად არის გაწერილი პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა და ურთიერთთანამშრომლობის სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

„საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო გარემოში, რამდენადაც პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით მას განსაკუთრებული უსაფრთხო ნორმების დაცვა არ სჭირდება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“;
- კოლეჯის დირექტორის მიერ (ბრძანება N 01-11 2020, 16 ივლისი) დამტკიცებულ დოკუმენტი- “პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სტრატეგია“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დაწესებულებას შემუშავებული და კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივლისის №01-11 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შპს „ცხუმ-ეგრისის“ - „პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი“. დოკუმენტი მოიცავს შეფასების ინსტრუქციას, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის/შემუშავების/განვითარების პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ინსტრუმენტების ვალიდაციას. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს, შეფასების პროცესის ადმინისტრირებას/მართვას, შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ინფორმირების, აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას, მტკიცებულებების მოპოვების, აღრიცხვისა და შენახვის წესს, ასევე შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. რაც შესაბამისობაშია არსებულ მოთხოვნებთან და განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოფს ამ სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

შპს - „ცხუმ-ეგრისის“ - „პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესის“ – (მუხლი 13. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია) თანახმად ვერიფიკაციის პროცესზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსერტები, სოციოლოგი, და სხვა) ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში. ვერიფიკაციის ჯგუფს ქმნის დირექტორი ბრძანებით და ამავე ბრძანებაში ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელს განუსაზღვრავს ვერიფიკაციის გეგმის წარმოდგენის ვადას. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი დადგენილ ვადაში წარუდგენს დირექტორს მოხსენებითი ბარათით ვერიფიკაციის გეგმას, რომელშიც ასახული იქნება ვერიფიკაციის პროცესის აქტივობები შესრულების ვადების მითითებით. წესით განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანები, ვერიფიკაციის მიმართულებები და გაწერილია ძირითადი ეტაპები, რომლებიც მოიცავს: ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევას, განხილვის ორგანიზებას, ფაქტობრივ გარემობებზე შეთანხმებას, ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენას, და ა.შ.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

შპს - „ცხუმ-ეგრისის“ - „პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესის“ თანახმად, შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემები/ინფორმაციას/მტკიცებულებები შეფასების უწყისები ინახება უვადოდ. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები აღირიცხება შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალში და უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. ვადის გასვლის შემდგომ ხდება მათი უტილიზაცია უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესებით. შესაძლებელია რაიმე მტკიცებულება(პროექტი, ფოტომასალა, ხელნაკეთი ნივთი და სხვა) სურვილის შემთხვევაში დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ გადაეცეს კურსდამთავრებულს(ავტორს) შესაბამისი კომისიის მიერ ხდება ოქმის შედგენა. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

შპს - „ცხუმ-ეგრისის“ - „პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესის“ - მუხლი 10-ის (შეფასების შედეგებზე პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა და შეფასების მონიტორინგი) თანახმად, დაწესებულებამ უნდა განახორციელოს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგი. პროფესიულ სტუდენტები მიიღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემები. პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოყენებული უნდა იქნას პროგრამების განვითარების კუთხითაც. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივლისის N 01-11 ბრძანებით დამტკიცებული შპს - „ცხუმ-ეგრისის“ - „პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი“.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	14
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

მოცემული მდგომარეობის გათვალისწინებით, იგულისხმება სასწავლო A და B აუდიტორია, პრქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობა, ასევე მასწავლებლების 35-40 კვირეული საათობრივი დატვირთვა, ექსპერტთა მოსაზრებით, კოლეჯს შეუძლია განახორციელოს პროგრამა მხოლოდ ერთ ცვლაში, 14 პროფესიული სტუდენტის ფარგლებში.

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

22.05.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: